პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 223 (9691) | კვირა, 20 სექტემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირ-კორეის კომუნიკე საბჭოთა მთავრობასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების შესახებ (1-ლი გვერდი)

გ. მ. მალენკოვმა სადილი გამართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად (1-ლი გვერდი).

დარბაზობა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოში (1-ლი გვერდი).

წარმატებით მოვემზადოთ პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის. — ა. ნოზაძე. — პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესებისათვის. — **დ. პაიჭაძე.** — მზადება ჯერაც სრ დაუწყიათ (მე-2 გვერდი).

კომუნიზმისათვის მებრძოლნი (მე-2 გვერდი).

მზადება საშემოდგომო თესვისათვის. — რ. დავითური. — აგროტექნიკას პატივს არ სცემენ (მე-2 გვერდი).

მოსკოვის მოწინავე მშენებელთა გამოცდილება — საქართველოს მშენებლებს. — [illegible] — ყოველ 75 დღეში ერთი ხუთსართულიანი სახლი. **ვ. პოლიკანოვი, მ. ბელინოვიჩი.** — [illegible] შაობა. **პ. მიხაილოვი.** — [illegible] ბის წარმატებისათვის ბრძოლაში. მშენებლება მოგვითხრობენ. ურთიერთკონტროლის ძალა. რას აკეთებს ჩვენთან პროფკავშირული ორგანიზაცია (მე-3 გვერდი).

გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე (მე-4 გვერდი).

ე. კეშელავა. — საქართველოდან ანტარქტიკაში (მე-4 გვერდი).

მარქსისტულ—ლენინური სწავლების მაღალი დონისათვის

ჩვენი პარტია გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს კომუნისტებისა და ყველა მშრომელის შეიარაღებას მარქსისტულ-ლენინური თეორიით.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდა და მათი პოლიტიკური გამოწრთობა კომუნიზმის გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

პარტიის XIX ყრილობის შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში ერთგვარად გაუმჯობესდა პარტიული განათლების დაყენება. პარტიული განათლების ქსელში 1952-1953 სასწავლო წლის შედეგებმა ცხადყო კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სულ უფრო მზარდი ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი. მაგრამ პარტიულმა კომიტეტებმა ვერ შეძლეს სათანადოდ ჩასდგომოდნენ სათავეში მასების დაინტერესებას, მათს დიდ პოლიტიკურ აქტივობას. ბევრი რაიონული და საქალაქო პარტიული კომიტეტი, აგრეთვე აფხაზეთის და აჭარის საოლქო კომიტეტები არ ახორციელებდნენ საქმიან და ყოველდღიურ ხელმძღვანელობას, დახმარებას და კონტროლს პარტიული განათლების გაუმჯობესებისათვის. რაიონული და საქალაქო კომიტეტები ჯეროვნად ვერ უნერგავდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროებსა და მდივნებს კომუნისტების იდეურ-პოლიტიკურად აღზრდისათვის ზრუნვასა და პასუხისმგებლობას.

პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში გაწეულია სერიოზული მუშაობა. ბევრგან უკვე დაკომპლექტებულია სკოლები და წრეები, შერჩეული არიან პროპაგანდისტები და კონსულტანტები, შექმნილია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სამეცადინო ოთახები, ლიტერატურა, თვალსაჩინოება და სხვ.).

მაგრამ მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები უპასუხისმგებლობას იჩენენ, ჩამორჩებიან პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მხრივ. ბათუმის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში შეუწყნარებელი დაუდევრობა გამოიჩინეს წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტებაში. აქ 7 სექტემბრისათვის შერჩეული და დამტკიცებული არ იყო პარტიული და საბჭოთა აქტივის სამი სემინარის ხელმძღვანელი, 19 წრისა და პოლიტსკოლის პროპაგანდისტი. არტელ „შრომის“ პარტორგანიზაციას იელისიდან არა ჰყავს მდივანი, მისი მოადგილე კი (ი. კილაძე) შვებულებაში წავიდა პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებისას.

პარტიის ბორჯომის რაიკომის დადგენილება პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ რაიონის ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის არ გაუცვნიათ. სოფელ ყვიბისისა და რველის საკომლეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს (მდივნები ს. გელაშვილი და ა. ლომიძე) პარტიულ კრებაზე არ განუხილავთ სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი. შუშის ქარხნის პარტორგანიზაციის წევრებმა ს. არუთინოვმა, ვ. მაისურაძემ და სხვ. არ იციან, რომელ წრეში იმეცადინებენ.

ამოცანა ის არის, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ იმ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რაც ჯერ კიდევ გვაქვს პარტიული განათლების ორგანიზაციაში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიული განათლების ქსელის სწორად დაკომპლექტებას, არ დაუშვან ფორმალური მიდგომა ამ საქმისადმი, თვითეული კომუნისტი ჩაბან სწავლების იმ ფორმაში, რომელიც მას შეეფერება ცოდნის დონის მიხედვით, და ამასთან გაითვალისწინონ მისი სურვილი.

პროპაგანდისტი პარტიული განათლების ცენტრალური ფიგურაა. იგი განსაზღვრავს პარტიული სწავლების ხარისხს. ამიტომ პროპაგანდისტთა სწორად შერჩევა, მათი თეორიული დონის ამაღლება და მეთოდური დახელოვნება პარტიული ორგანიზაციების უურადღების ცენტრში უნდა იყოს. საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები პირადად უნდა დაინტერესდნენ პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობით, რომ ისინი ნამდვილად უწყობდნენ ხელს პროპაგანდისტთა თეორიული დონის ამაღლებას და მეთოდურ დახელოვნებას.

სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს კომუნისტების დამოუკიდებელი სწავლება. ჩვენი პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლის ძირითადი მეთოდი იყო და არის მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებელი შესწავლა. მაგრამ სწავლების ეს ფორმა თვითდინებაზე იყო მიშვებული, როცა იგი პარტიული კომიტეტებისაგან მოითხოვს უფრო კვალიფიციურ და სისტემატურ ხელმძღვანელობას და ზრუნვას. აუცილებელია სასწავლო წლის დაწყებისთანავე მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის მოეწყოს კვალიფიციური ლექციების კითხვა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებზე პარტიის ისტორიიდან, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმიდან, პოლიტეკონომიიდან და სოფლის ეკონომიკის საკითხებზე. ლექციური პროპაგანდა უნდა დავაყენოთ მოწოდების სიმაღლეზე.

პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პოლიტიკურ სწავლებაში უპარტიო აქტივის ფართოდ მიზიდვა და მისდამი სისტემატური დახმარება. შეუნელებელი ყურადღება უნდა მიექცეს კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელის მუშაობის საკითხებს. პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად უნდა ზრუნავდნენ ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი ადგილობრივი პრესის მოვალეობაა ფართოდ გააშუქოს პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის მზადების მიმდინარეობა, დროულად ამხილოს ნაკლოვანებანი, განაზოგადოს მოწინავეთა გამოცდილება, ქმედითად დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს პარტიული პროპაგანდის გადაჭრით გაუმჯობესების საქმეში.

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყება პარტიული კომიტეტების მდივნებისაგან მოითხოვს უშუალოდ შეამოწმონ მზადების მიმდინარეობა, (დაკომპლექტება, პროპაგანდისტთა სემინარების ჩატარება, სამეცადინო ოთახების გამოყოფა-მოწყობა, ლიტერატურით და სხვა დამხმარე ხელსაწყოებითა და თვალსაჩინოებით უზრუნველყოფა და სხვ).

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა სასწავლო წლის დაწყებიდანვე უნდა უზრუნველყონ პოლიტიკური სწავლების მაღალი იდეურ-თეორიული დონე. ამოცანა ის არის, რომ მსმენელებმა შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის არსი, ესმოდეთ მისი შემოქმედებითი ხასიათი, შეეძლოთ თეორიული დებულებების დაკავშირება კომუნისტური მშენებლობის ყოველდღიურ პრაქტიკასთან. საჭიროა ბოლომდე აღმოვფხვრათ დოგმატიზმი, მედავითნეობა, ცალკე ციტატების, თარიღებისა და ფაქტების დასწავლით დაკმაყოფილება ნაცვლად მარქსიზმ-ლენინიზმის — მსოფლიოს გარდამქმნელი მეცნიერების არსის შეთვისებისა.

გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ პარტიული განათლების ქსელი მეცადინეობის დაწყებისთანავე ფართოდ გამოვიყენოთ კომუნისტებისათვის, ყველა მსმენელისათვის პარტიის მორიგი ამოცანების გასაცნობად და მათი შესრულებისათვის დასარაზმავად. ღრმად უნდა განვუმარტოთ მსმენელებს ის უდიდესი ამოცანები, რომლებსაც ჩვენი ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით წყვეტს სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის, მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის.

ფართოდ უნდა განვუმარტოთ კომუნისტებს და ყველა მშრომელს, რომ პარტია გადაჭრით აღმოფხვრის პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკიდან ისტორიაში პიროვნების როლის ანტიმარქსისტულ გაშუქებას, რაც გამოხატულებას პოულობდა პიროვნების კულტის იდეალისტურ თეორიაში და რამაც განსაკუთრებით მახინჯი სახე მიიღო საქართველოში ხალხის გამომჟღავნებული მტრის ბერიას პიროვნების კულტის ქადაგებით.

ორგანიზებულად დავიწყოთ სასწავლო წელი, სანმუშო წესრიგი და დისციპლინა დავამყაროთ პარტიული განათლების მთელ ქსელში, გადაჭრით გავაუმჯობესოთ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი მოძღვრების პროპაგანდა — ასეთია პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა.

საბჭოთა კავშირის კ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი 1953 წ. 22 სექტემბერს საღამოს 8 საათზე, ფილიალის შენობაში (რუსთაველის პრსპ. 29) აწყობს სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის 35 წლისთავისადმი. სესიაზე მოსმენილ იქნება მოხსენებანი: 1. „ბაქოს 26 კომისრის დახვრეტა ინგლისელი ინტერვენტების მიერ“ (მომხსენებელი—ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ი. მირცხულავა); 2. „ინგლის-ამერიკის ინტერვენციის კრახი ამიერკავკასიაში“. (მომხსენებელი — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დ. ლაშქარაძე).

საბჭოთა კავშირ-კორეის კომუნიკე

საბჭოთა მთავრობასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების შესახებ

11-19 სექტემბერს მოსკოვში მოლაპარაკება წარმოებდა საბჭოთა მთავრობასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა ნ. ა. ბულგანინმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრმა ა. ი. მიქოიანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ზ. საბუროვმა, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ს. ა. ბორისოვმა, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ს. პ. სუზდალევმა, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ი. საკუნმა.

კორეის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს:

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ კიმ ირ სენმა, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პაკ დენ აიმ, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილემ ტენ ირ ლენმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ ირმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ტენ დიუნ თხიაკმა, რკინიგზების მინისტრმა კიმ ხე ილმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ლიმ ხემ.

მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩი ჯან ვენ-ტიანმა.

მოლაპარაკების მსვლელობაში განხილულ იქნა საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს, აგრეთვე კორეაში მშვიდობიან მოწესრიგებასთან დაკავშირებული საკითხები. მიღწეულ იქნა სრული ურთიერთგაგება იმაში, რომ სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის შექმნილი მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს და ემსახურება შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეს. მხარეებმა ერთსულოვნად გაიზიარეს ის აზრი, რომ კორეაში დაზავების მიღწევამ შექმნა პირობები, რომლებიც აადვილებენ კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას იმ საფუძველზე, რომ მოხდეს კორეის ეროვნული გაერთიანება და კორეელ ხალხს მიეცეს შესაძლებლობა თვითონ გადაწყვიტოს კორეის სახელმწიფოებრივი წყობის საკითხები. სსრ კავშირის მთავრობამ და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გამოთქვეს მზადყოფნა ამ მიზნით ითანამშრომლონ ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოსთან.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ ეკონომიური დახმარების საკითხებს, რასაც სსრ კავშირი უწევს კორეელ ხალხს, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ომის პერიოდში.

მოლაპარაკების დროს განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც ეხება იმ 1 მილიარდი მანეთის გამოყენებას, რაც სსრ კავშირის მთავრობამ ულუფცვალგებოდ გაიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის საჭიროებისათვის.

მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ აღნიშნული სახსრები გამოყენებულ იქნება იმისათვის, რომ აღდგენილ იქნას უდიდესი ჰიდროელექტროსადგური სუპუნი მდინარე იალუქიანზე; აღდგენილ იქნას და აიგოს შავი და ფერადი მეტალურგიის ქარხნები, რომელთა შორის არის ისეთი დიდი საწარმოები, როგორიცაა მეტალურგიული ქარხნები ჩონდინსა და კიმჩაკში, ფერადი ლითონების ქარხანა ნამფხოში; ქიმიური და ცემენტის მრეწველობის ქარხნები, რომელთა შორის არის ისეთი დიდი საწარმოები, როგორიცაა სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მინერალური სასუქების ქარხანა ხინამში, სინხორის ცემენტის ქარხანა; საფეიქრო და კვების მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისათვის დიდი საფეიქრო კომბინატის, აბრეშუმსართავ-საქსოვი ფაბრიკის, ხორცკომბინატის, თევზის საკონსერვო ქარხნების ჩათვლით.

სამრეწველო საწარმოთა აღდგენასა და მშენებლობაში საბჭოთა კავშირი დახმარებას გაუწევს საბჭოთა ორგანიზაციების მიერ საპროექტო სამუშაოების შესრულებით, მოწყობილობისა და მასალების მიწოდებით, აღდგენისა და მშენებლობის პროცესში ტექნიკური დახმარების გაწევით და აღნიშნულ საწარმოებში პროდუქციის წარმოების ორგანიზაციისათვის ლიცენზიებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემით, აგრეთვე ამ საწარმოებისათვის კორეის ეროვნული კადრების მომზადებით.

წარმოებული მოლაპარაკების დროს, ამასთან ერთად, მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მიაწვდის მოწყობილობასა და მასალებს რკინიგზის ტრანსპორტისა და კავშირგამმულობის აღსადგენად, და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, იარაღებს, სასუქებს, ჯიშიან პირუტყვს, ცხენებს, აგრეთვე თაფლსაჭერ გემებს, მანქანებს, მოწყობილობას და მასალებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის, საავადმყოფოების, სასწავლებლების აღსადგენად.

გათვალისწინებულია აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდება საბჭოთა კავშირიდან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობისათვის.

გაითვალისწინა რა დიდი ხარჯები, რომლებიც აუცილებელია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენის გადაუდებელი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობამ ვალი გაუგრძელა სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გადასახდელებს საბჭოთა კავშირის მიერ ყველა წინათ მიცემულ კრედიტებზე და მისცა მათი დაფარვის ახალი, უფრო შეღავათიანი პირობები.

მოლაპარაკება წარმოებდა გულითადობისა და სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების მნიშვნელობის სრული გაგების ვითარებაში.

გ. მ. მალენკოვმა სადილი გამართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

19 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა კრემლში სადილი გამართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

კორეის მხრივ სადილზე იყვნენ: მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პაკ დენ აი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ტენ ირ ლენი, საგარეო საქმეთა მინისტრი ნამ ირი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ტენ დიუნ თხიაკი, რკინიგზების მინისტრი კიმ ხე ილი, კულტურისა და პროპაგანდის მინისტრი ხო დენ სუკი, მძიმე მრეწველობის მინისტრის მოადგილე კიმ ხენ კუკი, კავშირგამმულობის მინისტრის მოადგილე სინ ჩონ თხეკი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლიმ ხე.

სადილზე აგრეთვე იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჯან ვენ-ტიანი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ: ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ა. სუსლოვი, პ. ჭ. პონომარენკო, ი. თ. თევოსიანი, ს. ნ. კრუგლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. მალიშევი, ს. მ. ტიხომიროვი, ი. ა. ბენედიქტოვი, ს. ა. აკოფოვი, პ. ა. იუდინი, ვ. პ. ზოტოვი, მ. ა. იასნოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ს. ა. ბორისოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ს. პ. სუზდალევი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, ავიაციის მარშალი პ. თ. ჟიგარევი, არტილერიის მარშალი მ. ი. ნედელინი, არმიის გენერალი მ. ს. მალინინი, ადმირალი ნ. ე. ბასისტი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ი. საკუნი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კაპიტალურ სამუშაოთა განყოფილების უფროსი პ. ს. ივანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე დ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის საშინაო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. ა. სლადკოვსკი.

სადილმა ჯულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. გ. მ. მალენკოვმა და კიმ ირ სენმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

დარგაზოგა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოში

18 სექტემბერს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ლიმ ხემ დარბაზობა გამართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. მ. მალენკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მ. კაგანოვიჩი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის საშინაო ვაჭრობის მინისტრი ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ზ. საბუროვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები მ. გ. პერვუხინი, პ. კ. პონომარენკო, ს. მ. ტიხომიროვი, ს. ნ. კრუგლოვი, ი. ა. ბენედიქტოვი, ს. ა. აკოპოვი, პ. ა. იუდინი, ნ. ა. დიგაი, პ. ი. ანტროპოვი, დ. თ. უსტინოვი, ზ. ა. შაშკოვი, ა. თ. ტრეტიაკოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები ა. მ. ვასილევსკი, ს. მ. ბუდიონი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. ნესმეიანოვი, სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ს. პ. სუზდალევი, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაიროვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ს. ა. ბორისოვი, ს. ვ. კაფტანოვი, ვ. ა. ზორინი, კ. ი. კოვალი, ვ. ა. სერგეევი, ტ. ნ. სტოლეტოვი, ნ. ნ. ბესპალოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები ნ. ვ. სლავინი, გ. ტ. ზაიცევი, დ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის საგაჭრო წარმომადგენელი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ი. საკუნი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი, ავიაციის მარშლები პ. თ. ჟიგარიოვი, ს. თ. ჟავორონკოვი, არმიის გენერალი მ. ს. მალინინი, ადმირალები ნ. ე. ბასისტი, ვ. ა. ფოკინი, გ. ნ. ლევჩენკო, გენერალ-პოლკოვნიკი თ. თ. ჯუზნეცოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები.

კორეის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ: მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პაკ დენ აი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ტენ ირ ლენი, საგარეო საქმეთა მინისტრი ნამ ირი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ტენ დიუნ თხიაკი, რკინიგზების მინისტრი კიმ ხე ილი და სსრ კავშირში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს წევრები.

დარბაზობას აგრეთვე დაესწრნენ: უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ა. სკლადანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჯან ვენ-ტიანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მ. დალია, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვ. ლევიკოვსკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ი. ვოშაგლიკი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დ. ადილბაში, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მ. პრიფტი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ვ. ველკოვი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ნგუენ დიკ კუი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული კ. ზეიცი.

(საკდესი).

წარმატებით მოვემზადოთ პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის

პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესებისათვის

პარტიული განათლების ყველა ფორმაში 1952-53 სასწავლო წელს ხაშურის რაიონში ჩაბმული იყო 2.800-ზე მეტი კომუნისტი. სერიოზული ყურადღება ექცეოდა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ორგანიზაციას. პარტიის ისტორიასა და თეორიას დამოუკიდებლად სწავლობდა 239 კომუნისტი და 50-მდე უპარტიო ამხანაგი. აღსანიშნავი, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების უმრავლესობა სრული პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს, სისტემატურად, თანმიმდევრულად მეცადინეობდა და ღრმად შეითვისა ინდივიდუალური სამუშაო გეგმით გათვალისწინებული მასალა.

მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან პარტიული განათლების მთელი სისტემის გადასვლამ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ი. ბ. სტალინის შრომის — „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“ — შესწავლაზე გააძლიერა მისწრაფება და ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისადმი.

შემაჯამებელმა მეცადინეობებმა ცხადყო, რომ რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა და კონტროლი პოლიტიკური სწავლებისადმი, რის შედეგადაც ამაღლდა წრეებისა და პოლიტსკოლების მუშაობის იდეური დონე. რაიონის პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილმა 158-მა წრემ და პოლიტსკოლამ მთლიანად ამოწურა სასწავლო პროგრამა. მსმენელთა უმრავლესობამ გავლილი მასალის ღრმა ცოდნა გამოამჟღავნა.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება რაიონის პარტბრუნმა ორგანიზაციებმა გასული სასწავლო წლის დამთავრებისთანავე დაიწყეს. პარტიულ კრებებზე გულდასმით იქნა განხილული გასული სასწავლო წლის შედეგები, დაისახა პრაქტიკული ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლის ყოველმხრივ მომზადებულად და ორგანიზებულად დაწყებისათვის.

მზადების დროს დიდი ყურადღება მიექცა წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტებას. განხორციელდა საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ დაკომპლექტებისას აღარ გმეორებულიყო გასული წლის ნაკლოვანებანი, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ზოგან სათანადოდ ვერ შეისწავლეს და ანგარიში არ გაუწიეს კომუნისტების პოლიტიკური განათლების დონესა და სურვილს, ისინი წრეებსა და სკოლებში პარტიული ორგანიზაციების შეხედულების მიხედვით გააერთიანეს. ეს კი ხარისხისათვის საზიანო იყო. წელს პარტიის რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები უფრო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტებას, რაც ამჟამად უკვე დამთავრებულია.

ახალ სასწავლო წელს ყველა ტიპის წრესა და პოლიტსკოლაში ისწავლის 2.637 კომუნისტი, 507 კომკავშირელი და 592 უპარტიო ამხანაგი.

გავითვალისწინეთ, რომ პროპაგანდისტთა შერჩევა მხოლოდ საქმის დასაწყისია და რომ მთავარია განუწყვეტელი ზრუნვა მათი იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. ამ მიზნით წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების მიერ მოწყობილ პროპაგანდისტთა მოსამზადებელ ერთთვიან კურსებზე სწავლობდა 30 პროპაგანდისტი.

წელს რაიონში წიგნზე დამოუკიდებლად იმუშავებს 203 ამხანაგი, რომელთა დასახმარებლად შერჩეულია საკმაო პოლიტიკური მომზადებისა და პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების მქონე 36 კონსულტანტი.

პარტიული განათლების ყველა რგოლის მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის აუცილებელია უფრო გავძიერეთ ხელმძღვანელობა და დახმარება პროპაგანდისტებისა და კონსულტანტებისადმი, აგრეთვე თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგებისადმი, რისთვისაც გავაუმჯობესებთ ლექციურ პროპაგანდას, ლექტორთა ჯგუფის მუშაობაში ფართოდ დავნერგავთ ლექციათა ციკლს, რაც წინათ არ იყო დანერგილი.

შეიძლება ითქვას, რომ ახალი სასწავლო წლისათვის გაცილებით უკეთ მოვემზადეთ, ვიდრე გასულ წლებში. ეს კი იმის საწინდარია, რომ ახალი წარმატებანი მოვიპოვოთ პარტიული პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესებისა და კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეში.

ა. ნოზაძე,
საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის მდივანი.

მზადება ჯერაც არ დაუწყიათ

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლიდან ქედის რაიონში იმუშავებს პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის 14, მაღალი ტიპის 2 და ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 10 წრე. გარდა ამისა, რაიონში შექმნილია ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“ შემსწავლელი წრე, საღამოს პარტიული სკოლა, პარტიული და საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედი სემინარი. დამოუკიდებლად იმუშავებს 232 კაცი. სულ პარტიული სწავლების ყველა ფორმაში ჩაბმულია 728 ამხანაგი.

რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა დროულად შეუდგნენ პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას. პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებისას შეცდომების თავიდან აცილების მიზნით პარტიის რაიკომის მუშაკები და რაიკომის წევრები მიამაგრეს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი განიხილა პარტიის რაიკომის ბიურომ და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა შესრულების შედეგად პარტიული ორგანიზაციების დიდი ნაწილი მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო წელს.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და მომზადების საქმეში. სულ პროპაგანდისტულ სამუშაოზე შერჩეულია ამ საქმის მოყვარული და პოლიტიკურად მომზადებული 42 კომუნისტი, რომელთაგან ცხრამ დაამთავრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ერთთვიანი კურსები. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში გამოყოფილია 21 კონსულტანტი. შექმნილია პროპაგანდისტთა სამი და კონსულტანტთა ერთი სემინარი.

ახალი სასწავლო წლისათვის ენერგიულად ემზადებიან ცხმორისის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის (მდივანი ა. მგელაძე), წონიარისის კოლმეურნეობის (მდივანი ა. თურმანიძე), აგრეთვე „აწჰესის“ (მდივანი ა. კაკაბაძე) პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

ამავე დროს რაიონის ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში, კერძოდ, კოლოტაურის ანდრეევის სახელობის (მდივანი ა. ფარტენაძე), პირველი მაისის „წითელი აჯარის“ სახელობის (მდივანი შ. დევაძე), აგარის ჟდანოვის სახელობის (მდივანი ხ. სამნიძე) და სხვა კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ჯერაც არ დაუწყიათ.

საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო, სასწრაფოდ აღმოვფხვრათ პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში არსებული ნაკლოვანებანი.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

შუახევში

ახალი კულტურა რაიონში

წელს მაღალმთიანი რაიონის კოლმეურნეობები პირველად შეუდგნენ ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის — ჩაის გაშენებას. ამჟამად აქ მისი ფართობი 60 ჰექტარს აღემატება.

ბევრ კოლმეურნეობაში ამ ახალმა კულტურამ 100 პროცენტით გაიხარა. მომდინარე წლის შემოდგომაზე რაიონში ჩაის ფართობი 40 ჰექტარით გადიდდება.

ვენახი მაღალმთიან სოფლებში

გამოცდილებამ ცხადყო, რომ შუახევის რაიონში კარგად ხარობს ვაზი. უკანასკნელ წლებში ვენახის ფართობი აქ მკვეთრად გაიზარდა. შუახეველები კარგად დაეუფლნენ ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისა და მაღალი ხარისხის ქართული არომატიანი ღვინის დაყენების ოტატობას. შარშან სტალინის, ორჯონიკიძისა და ყუკოვის სახელობის კოლმეურნეობების ბევრმა მევენახემ თვითეულ ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 60 ცენტნერისა 100-110 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. წელს რაიონში დაჩატებით 12 ჰექტარზე გაშენეს ვენახი.

საავადმყოფო და კურსაცხოკი კოლმეურნეობაში

დღვანის სასოფლო საბჭოს მაღალმთიანი სოფლებისათვის ახლახან დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა საავადმყოფოსა და პურსაცხობის ახალი შენობები.

დ. კობალაძე,
შუახევის რაიონულ გაზეთ „დროშის“ რედაქტორი.

ხალხთა მეგობრობის დროშით

ფრაქციული შეჯიბრება გრძელდება

ზუგდიდი. (სპეც. კორ.). უკრაინის სსრ სუმის ოლქის ტალალაევკის რაიონის და საქართველოს სსრ ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეები ჯერ კიდევ ომამდე იყვნენ ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ დღეებში უკრაინელმა მეგობრებმა კვლავ გამოგზავნეს წერილი, რომლითაც თხოულობენ ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრების განახლებას. ამასთან პარტიის ტალალაევკის რაიკომის მდივნის ამხ. მ. ფროლოვისა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მ. ვოვკის ხელმოწერით გამოგზავნილია ის ვალდებულებებიც, რომლებიც იკისრეს რაიონის მშრომელებმა ზუგდიდელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ მიმართვას ზუგდიდის რაიონის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ და აიღეს ვალდებულება სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ 1 მილიონი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 3.000 ჰექტარი სიმინდის ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 26 ცენტნერი სიმინდი, სახელმწიფოს ჩააბარონ 750 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი და სხვ. ამასთან ცალკეული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უფრო გაზრდილ ვალდებულებებს კისრულობენ.

განზრახულია უახლოეს ხანში ორივე რაიონის მშრომელთა დელეგაციების შეხვედრა.

მზადება საშემოდგომო თესვისათვის

ეროვნული აგროტექნიკას პატივს ვცემენ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში გადაუდებელ ამოცანად დასახულია უახლოეს ორ-სამ წელიწადში მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის.

მაშასადამე, საჭიროა მკვეთრად ავამაღლოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, უზრუნველვყოთ მარცვლეულის წარმოების მემდგომი, უფრო სწრაფი ზრდა.

მარცვლეულის მოსავლიანობის ასამაღლებლად ბოლნისის რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეებს, მექანიზატორებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს დიდი მუშაობა მოელოთ. მით უმეტეს, რომ აქ მარცვლეულის მოსავლიანობის მხრივ ვერ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. წელს შარშანდელთან შედარებით პურეულის უკეთესი მოსავალი მიიღეს, მაგრამ მოსავლიანობის დაწესებული რაიონული გეგმა ვერ შეასრულეს.

რა არის ამის მიზეზი?

უპირველეს ყოვლისა აგროტექნიკისა და აგროვადების უხეში დარღვევა, რაც რაიონში ტრადიციად იქცა. სამწუხაროა, რომ რაიონში არ იგრძნობა ზრუნვა მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევათა დანერგვისათვის, დაგვიანებით ასრულებენ მთელ რიგ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. ერთი სიტყვით, აქ აგროტექნიკას პატივს არ სცემენ. აი ფაქტები. სოფელ დარბაზის ტელმანიანა სახელობის კოლმეურნეობა რაიონში ყველაზე მაღალ ზონაში მდებარეობს და მისთვის დაწესებული საშემოდგომო თესვის დაწყების ვადა — 25 სექტემბერი არ გამოდგება. საჭიროა უფრო ადრე დათესვა და, მაშასადამე, ნიადაგის ადრეულად მოხვნა. სამწუხაროდ, აქ პირიქით ხდება. რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა დაიწყეს ნაწვერალის ადრეული ხვნის უდიდესი აგროტექნიკური მნიშვნელობა და ამ სოფლის მდებარეობაც, არც ბოლნისის მტს-მა (დირექტორი ა. გრიგოლია) შეიწუხა თავი ადრე დაეწყო ხვნა. მეორე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ჯ. ქაზიმოვი) მუშაობა დაიწყო 1 სექტემბერს, მაგრამ ოთხმა მძლავრმა მუხლუხა ტრაქტორმა ტექნიკური მოუწესრიგებლობის გამო ორ დღეში მხოლოდ ოთხი ჰექტარი მოხნა. არც კოლმეურნეობა იწუხებს ამაზე თავს. ნაკლებად იყენებენ საკუთარ საშუალებებს საშემოდგომო ხვნის დასაჩქარებლად. ასეთი უხეირო მუშაობით ვერ დაამთავრებენ ხვნას თუნდაც რაიონისათვის დაწესებულ თესვის ვადაში. ეს კი გამოიწვევს საშემოდგომო თესვის გაჭიანურებას და მაშასადამე, საფრთხეს უქმნის მომავალი წლის უხვ მოსავალს. აგროტექნიკის დარღვევის ფაქტები რაიონში ერთეული როდია. კოლმეურნეები და მექანიზატორები მინდვრის სამუშაოებში უშვებენ წუნს და უხეშად არღვევენ აგროტექნიკის ელემენტარულ წესებსაც კი. ამას კი რაიონული საბჭოს აღმასკომისა და მტს-ების სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ან არ აქცევენ ყურადღებას ან სუსტად უწევენ კონტროლს, არ ჩანს მათი მაორგანიზებელი როლი აგროტექნიკის მოთხოვნათა განხორციელების საქმეში. მაგალითად, ბოლნისის მტს-ის მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტი ს. გასანოვი, რომელიც „ნატის“ მარკის ტრაქტორით სოფელ ტანძიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ფართობში მუშაობდა, ხვნის სიღრმეს არ იცავდა, არ ეყენა წინასახნისიანი გუთნები. მტს-ის უბნის აგრონომი ს. რასილოვი გულგრილად შესცქეროდა ამას და არავითარი ზომები არ მიუღია მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ზოგიერთ კოლმეურნეობასა და მექანიზატორებს შორის არ იგრძნობა შემოქმედებითი მეგობრობა, რის გამო დაბალია შრომის ნაყოფიერება, ბრკოლდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად შესრულება. სოფელ ქვეშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. პოპოვი) ფართობში ერთ დღეს მეექვსე სატრაქტორო ბრიგადის ოთხი ტრაქტორი გაცდა. ეს იმიტომ, რომ კოლმეურნეობამ არ მოამზადა ბრიგადა საწვავით, საჭმლითა და წყლით. ამავე კოლმეურნეობამ ვერ უზრუნველყო სახნავი ნაკვეთების გაწმენდა ნაწვერალისაგან, ქვებისაგან, რის გამო ხშირია გუთნებისა და ტრაქტორების გამოსვლა მწყობრიდან. ორი დღით გაჩერდა ტრაქტორი გუთნის დაზიანების გამო, სათადარიგო გუთანი კი არ გააჩნდათ. ასეთი მდგომარეობა სხვაგანაც არის. ნაკვეთების დროულად გაუწმენდაობის გამო მექანიზატორები იძულებული არიან დაწვან ნაწვერალი ან მოხსნან გუთანს წინმხვნელი, რაც აგროწესების თანახმად შეუწყნარებელია კულტურულ მიწათმოქმედებაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კოლმეურნეობებს ან სულ არა აქვთ ფარცხები (ზიგზაგები) ან უვარგისები აქვთ, ამიტომ ისეთი ლონისძიება, როგორიც ფარცხვაა, ხვნასთან ერთად არ მიმდინარეობს. ჩვენ ვნახეთ, რომ უფარცხოდ მუშაობდნენ მეექვსე ბრიგადის ტრაქტორისტი გ. მესროფოვი და ცვლის ტრაქტორისტი მერვე ბრიგადიდან მ. აბასოვი.

ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. მ. ყულიევი) და მისმა სოფლის მეურნეობის და დამზადებათა სამმართველომ (უფროსი ამხ. ნ. ლომინეიშვილი) გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ მინდვრის სამუშაოთა ხარისხის ამაღლებისათვის, სისტემატური კონტროლი უნდა დააწესონ სამუშაოთა ხარისხის დაცვისადმი და უზრუნველყონ აგროტექნიკურ ღონისძიებათა განუხრელად განხორციელება. უამისოდ ლაპარაკი ხუხი მოსავლის მოყვანაზე ლიტონი სიტყვა იქნება.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლნი

(ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის 35 წლისთავისათვის)

დღეს სრულდება 35 წლისთავი ინგლისელ ინტერვენტთა მიერ ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის დღიდან. 35 წლის წინათ — 1918 წლის 20 სექტემბერს, კრასნოვოდსკიდან 207-ე ვერსზე, ახჩაკუმისა და პერევალის სადგურებს შუა დახვრიტეს ბაქოელი კომუნისტების ხელმძღვანელები, მგზნებარე რევოლუციური მებრძოლები, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები — 26 ბაქოელი კომისარი. სისხლისღვრას ხელმძღვანელობდნენ ინგლისის სარდლობის წარმომადგენელი კაპიტანი ტიგ ჯონსი და იმპერიალისტური თეთრგვარდიული „მთავრობის“ წევრები — ინგლისის იმპერიალიზმის ესერი ლაქიები.

ინტერვენტთა ხელით დაეცნენ სტეფანე შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე, მეშადი აზიზბეკოვი, ივანე ფიოლეტოვი, პავლე ზევინი, გრიგოლ ყორღანოვი, ივანე მალიგინი, გ. პეტროვი, არსენ ამირიანი და სხვები. სახელები ამ უშიშარი რევოლუციონერებისა, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს მშრომელთა თავისუფლებასა და ბედნიერებას, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებას, ოქროს ასოებით არის ჩაწერილი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ჩვენი პარტიის ბრძოლის გმირულ მატიანეში.

* * *

1918 წელმა მძიმე განსაცდელი მოუტანა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. იმპერიალისტებმა თავიანთი აგენტურის — ქვეყნის შიგნით კონტრრევოლუციური ძალების — მხარდაჭერით დაიწყეს სამხედრო ინტერვენცია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ცდილობდნენ დაეყოთ იგი და თავიანთ კოლონიად გადაექციათ. განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა ამიერკავკასიაში, სადაც პარპაშობდნენ მენშევიკები, ესერები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც ეყრდნობოდნენ უცხოელ ინტერვენტთა ჯარებს.

ბაქოს მუშებმა — ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ერთ-ერთმა მოწინავე რაზმმა — რომელიც გამოიწვრთო თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში, ამიერკავკასიაში პირველებმა დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ ბაქოს მუშების ბრძოლას საბჭოების ხელისუფლების განმტკიცებისათვის. მუსავატისტებს — მსხვილი ბურჟუაზიის, მემამულეებისა და რეაქციული სამღვდელოების ნაციონალისტური პარტიის — კონტრრევოლუციური ბანდის განადგურების შედეგად ძალაუფლება განმტკიცდა ბაქოს პროლეტარიატის ხელში. ბაქოში შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ნაცადი კომუნისტები: ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, მ. აზიზბეკოვი, ი. ფიოლეტოვი, გ. ყორღანოვი, ი. ზევინი, მ. ვეზიროვი და სხვები. სახკომსაბჭოს შემადგენლობა, რომელშიც ედიოდნენ სხვადასხვა ეროვნების პირები, განასახიერებდა ამიერკავკასიის ხალხთა ძმურ მეგობრობას.

სახკომსაბჭომ გაიჩალა აქტიური ორგანიზატორული საქმიანობა, რის შედეგადაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აზერბაიჯანის მთელ რიგ ქალაქებში, აგრეთვე დაღისტნის ქალაქებში — დარუბანდსა და მახაჩკალაში. ბაქოელმა კომუნისტებმა ბაქო გადააქციეს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ციტადელად.

ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმიანობას წარმართავდნენ ლენინი და სტალინი, რომლებიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ამიერკავკასიაში ამბების განვითარებას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე ბაქოელმა კომუნისტებმა განახორციელეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სოციალისტური გარდაქმნები. სახკომსაბჭომ მოახდინა ნავთობის მრეწველობის, კასპიის სავაჭრო ფლოტის, ბანკების ნაციონალიზაცია, გააუქმა ძველი სასამართლო და შექმნა ახალი, სახალხო სასამართლო, გამოსცა დეკრეტი ბეგებისა და ხანების მიწების კონფისკაციისა და მშრომელი გლეხებისათვის მათი გადაცემის შესახებ, საწარმოებში შემოიღო 8 საათის სამუშაო დღე. ამ ღონისძიებათა განხორციელებაში ბაქოს პროლეტარიატს დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა რუსეთმა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც უდიდეს სიძნელეებს განიცდიდა. ბაქოელი მუშები თავის მხრივ დაეხმარნენ რუსეთის სფს რესპუბლიკას — 80 მილიონზე მეტი ფუთი ნავთობი და ბენზინი გაუგზავნეს მას.

ამიერკავკასიის პროლეტარიატისათვის ბაქოს რევოლუციური პროლეტარიატი, ი. ბ. სტალინის სიტყვით, იყო „გადამდები მაგალითი და ცოცხალი შუქურა, რომელიც აშუქებდა სოციალიზმის გზას“. ეს მეტად აშფოთებდა იმპერიალისტებს და მათს აგენტურას შინაური კონტრრევოლუციური ძალების სახით და აქეზებდა მათ დაეჩქარებინათ შეტევა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ბურჯის წინააღმდეგ.

1918 წლის ივლისში ბაქოს შეუტიეს მუსავატისტთა ბანდებმა, რომლებიც შეუკავშირდნენ გერმანია-თურქეთის ჯარებს. ამავე დროს გააქტივდნენ ირანში მოკალათებული ინგლისელი იმპერიალისტები, საიდანაც ისინი ამზადებდნენ თავდასხმას საბჭოთა ბაქოზე. თავიანთი ძირგამომთხრელი საქმიანობა გააძლიერეს ქალაქში დაშნაკებმა, ესერებმა და მენშევიკებმა. მათ დაიწყეს აგიტაცია ბაქოში ინგლისის ინტერვენციონისტული ჯარების მოსაწვევად, თითქოს იმ მიზნით, რომ ქალაქი გადაერჩინათ გერმანია-თურქეთის შეიარაღებული ძალების მიერ დაპყრობისაგან. ამ საკითხის განხილვისას ბაქოს საბჭოს სხდომაზე ესერებმა და მენშევიკებმა დაიყოლიეს საბჭოს უმრავლესობა და მიაღებინეს გადაწყვეტილება ბაქოში ინგლისის ჯარების მოწვევის შესახებ.

გერმანელ, თურქ და ინგლისელ იმპერიალისტთა და მათი ესერ-მენშევიკი და მუსავატისტი აგენტების შეტევით ბაქოში დაეცა საბჭოთა ხელისუფლება. ბაქოს პროლეტარიატის ხელმძღვანელები ბაქოელი 26 კომისრის სახით დაატატიმრა მენშევიკურ-ესერულმა კონტრრევოლუციურმა მთავრობამ, რომელიც ბაქოში შეიქმნა, — ეგრეთწოდებულმა „ცენტროკასპიის დიქტატურამ“, რომელმაც ინგლისელი იმპერიალისტები მოიწვია.

ბაქოს საბჭოთა კომისრებმა თავი დააღწიეს საპყრობილეს, მაგრამ გემი, რომლითაც ისინი ასტრახანს გაემგზავრნენ, გამცემლობის შედეგად მიყვანილ იქნა კრასნოვოდსკში, სადაც პარპაშობდა ინგლისელ იმპერიალისტთა სამსახურში მყოფი იმიერკასპიის ესერული მთავრობა.

1918 წლის 20 სექტემბრის განთიადზე ინგლისელმა იმპერვენტებმა და მათმა ხელქვეითებმა — ესერებმა დახოცეს 26 ბაქოელი კომისარი. ბოროტმოქმედების ეს აქტი ინგლისელ იმპერიალისტთა ერთ-ერთი უსაზიზღრესი დანაშაული იყო. მუშათა კლასი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ „ჰუმანური“ და „ცივილიზებული“ ინგლისელი ინტერვენტები ნამდვილად სისხლისმსმელი მტაცებლები არიან, რომლებიც არაფერს არ ერიდებიან თავიანთი მძარცველური მიზნების მისაღწევად.

მასობრივ მკვლელობას, სამხედროსაველე სასამართლოებს, ეროვნული შუღლის გაღვივებას, ფიზიკურ დასჯას ახლაც მიმართავენ ინგლისელი, ამერიკელი და სხვა . იმპერიალისტები კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას მოწმობენ ისეთი ფაქტები, როგორიცაა ინგლისელ კოლონიზატორთა მიერ კენიის მშრომელთა სისხლისღვრა, ფრანგ მონოპოლისტთა ბინძური ომი ვიეტნამში, უმაგალითო მხეცობა, რასაც ამერიკის სამხედრო ხროვა კორეაში სჩადიოდა.

35 წლის მანძილზე, რაც 26 ბაქოელი კომუნისტის მხეცური მკვლელობის დღიდან გავიდა, აზერბაიჯანი კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის სწორი განხორციელების შედეგად გახდა აყვავებული საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც აქვს მძლავრი ინდუსტრია, მექანიზებული მოწინავე სოფლის მეურნეობა, დიდად განვითარებული, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. აზერბაიჯანის სსრ აღმოსავლეთში სოციალიზმის ნამდვილი შუქურა გახდა. რესპუბლიკის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის პროგრამას, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ დასახა.

აზერბაიჯანის სსრ ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის აყვავებით, მისი ხალხის ბედნიერი ცხოვრებით, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების ისტორიული გამარჯვებებით განსახიერებულია მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვება, რისთვისაც იბრძოდა და სიცოცხლე შესწირა 26 ბაქოელმა კომისარმა.

ბაქოს 26 კომისრის დახვრეტა (მხატვარ ბროდსკის სურათიდან).

მოსკოვის მოწინავე მშენებელთა გამოცდილება—საქართველოს მშენებლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვის სამშენებლო ორგანიზაციებს შორის უკანასკნელ ხანებში დიდად დაწინაურდა სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს № 28 სამშენებლო ტრესტის 181-ე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი, რომელიც საცხოვრებელი სახლების აგებაზე მუშაობს.

მშენებლთა ამ კოლექტივმა მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღო საცხოვრებელი სახლების ნაკადურ-ჩქარაოსნული მეთოდით მშენებლობაში. ახლა ეს გამოცდილება ფართოდ ვრცელდება მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის მთელი რიგი სხვა ქალაქების მშენებლებს შორის.

ქვემოთ ვბეჭდავთ მასალებს მოსკოველ მშენებელთა ამ მოწინავე კოლექტივის გამოცდილებისა და მუშაობის შესახებ. ვფიქრობთ, ამ მასალების გაცნობა დაეხმარება ჩვენს მშენებლებს მუშაობის გაუმჯობესებაში, ახალი საბინაო ფონდის სწრაფად, მყარად, იაფად მშენებლობის განხორციელებაში.



ახალი სახლების მშენებლობა მოსკოვში იაროსლავის გზატკეცილზე. წინა პლანზე — კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაკთა 300-ბინიანი სახლის მშენებლობა. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს შენდება კიდევ ერთი 300-ბინიანი სახლი. ფოტო ე. უმნოვისა.

ყოველ 75 დღეში ერთი ხუთსართულიანი სახლი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში ამას წინათ შედგა მოსკოვის მშენებლებისა და სამშენებლო მასალათა საწარმოების კოლექტივთა წარმომადგენლების თათბირი, რომელიც მიეძღვნა მოსკოვში საბინაო მშენებლობის გაფართოების საკითხის განხილვას.

თათბირზე აღინიშნა, რომ მოსკოვის სამშენებლო ორგანიზაციებს შორის საცხოვრებელი სახლების სწრაფად აგების საქმეში ყველაზე უკეთესი მიღწევები აქვს სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს № 28 სამშენებლო ტრესტის 181-ე სამშენებლო სამმართველოს, რომელსაც მოსკოვის ერთ-ერთ უბანში იზმაილოვოში მინდობილი აქვს 8 ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის წელსვე აგება. ამ სახლებს აშენებენ ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით.

სახლების მშენებლობას შეუდგნენ წელს მაისის ბოლო რიცხვებში. ამჟამად ორი ხუთსართულიანი სახლი უკვე აგებული და საექსპლოატაციოდ გადაცემულია, ორი სახლის მშენებლობა ახლა მთავრდება და სექტემბრის ბოლომდე მათაც გადასცემენ საექსპლოატაციოდ, ხოლო დანარჩენი ოთხი სახლის მშენებლობა ახლა მიმდინარეობს და ნოემბრის ბოლომდე ეს ოთხი სახლიც მზად იქნება მობინადრეთა მისაღებად.

ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით სახლების მშენებლობის გაჩაღებამ დიდად აამაღლა მშენებელთა შრომის ნაყოფიერება, გააადვილა სამშენებლო მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენება და შეამცირა სამუშაოთა თვითღირებულება. 181-ე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა ნაკადურ-ჩქაროსნული მუშაობის შედეგად წლიური სამშენებლო გეგმა ვადაზე 4 თვით ადრე—1 სექტემბრისათვის 102,3 პროცენტით შეასრულა. მშენებლებმა გადაწყვიტეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით აითვისონ 16 მილიონი მანეთის სამუშაო და შეუდგნენ დამატებით კიდევ სამი მრავალსართულიანი და მრავალბინიანი ახალი სახლის აგებას.

181-ე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ნაკადური მშენებლობა, თუ იგი მიზანშეწონილად და უნარიანად იქნება ორგანიზებული, საშუალებას მისცემს სამშენებლო ორგანიზაციებს იმ მუშახელით, რომელიც ახლა ჰყავთ, თითქმის ერთიორად მეტი საცხოვრებელი სახლი ააგონ. მშენებლობის ნაკადურად მოწყობა საშუალებას იძლევა ყოველი 75 სამუშაო დღის განმავლობაში მოათავონ ერთი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის აგება და შესასახლებლად გამზადება.

№ 28 სამშენებლო ტრესტი ნაკადურ-ჩქაროსნული წესით იწყებს ხუთი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აგებას მოსკოვში შჩერბაკოვის ქუჩაზე. დაწყებულია მზადება 14-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით იმ ვარაუდით, რომ მშენებლობა სავსებით დამთავრდეს 8 თვეში.

ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

ურთიერთკონტროლის ძალა

რატომ ხდება და რით არის გამოწვეული, რომ ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით მშენებლობისას შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი უკეთესია და მობინადრეთა შესასახლებლად გამზადებულ შენობაში დეფექტები იშვიათია. იზმაილოვში საცხოვრებელ სახლთა მშენებლებმა ამის შესახებ ასეთი განმარტება მისცეს „კომუნისტის“ კორესპონდენტს:

ნაკადურ-ჩქაროსნულად მშენებლობის დამახასიათებელია ყველა პროფესიის მშენებელთა ურთიერთკონტროლი. აგურით კედლის ამომყვანები დაინტერესებული არიან, რომ მექანიზატორებმა და ხსნარის დამამზადებლებმა კარგად იმუშაონ, ვინაიდან უამისოდ მათი მუშაობაც შეფერხდება. კედლის ამომყვანთა კარგ მუშაობაზე დამოკიდებულია ხეროობისა და ძლესაგრის მუშაობა, ამ უკანასკნელთა მუშაობაზე მღებავებს ესარმატება და ა. შ.

მაგალითად, თუ კედელი კარგად არ არის შელესილი, ალიზი ბეჯითად თუ არ არის აზელილი, შესაძლოა შენალესი დასკდეს, მღებავთა შრომამ ფუჭად ჩაიაროს.

ამიტომ მშენებლები ურთიერთის ნამუშევარს გულდასმით ამოწმებენ და. თუ შენიშნეს, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი სასურველი არ არის, აიძულებენ ამხანაგს უკეთესად გააკეთოს.

ამაშია მშენებელთა ურთიერთკონტროლის ძალა.

რას აკეთებს ჩვენთან პროფკავშირული ორგანიზაცია

181-ე სამშენებლო სამმართველოს მშენებელთა პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ოსტატმა ვ. ტატარინცევამ მშენებლობაზე პროფკავშირული მუშაობის შესახებ განაცხადა:

— ჩვენ არა გვყავს არც ერთი მუშა, რომელიც აქტიურად არ მონაწილეობდეს სოციალისტურ შეჯიბრებაში. საამქროს კომიტეტმა გამოჰყო აქტივისტები, რომლებსაც ევალებათ სისტემატურად დაევნონ თვალყური სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა მუშაობას, სისტემატურად შეამოწმონ; თუ ვინ როგორ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. შეჯიბრების შედეგების აღრიცხვა ჩვენთან ყოველდღიურად ხდება.

უკეთესად მუშაობის ინტერესი გაღვივება მშენებლებს შორის პროფესიათა მიხედვით სოციალისტურმა შეჯიბრებამ. ყოველთვიურად ხდება პროფესიათა მიხედვით დაწინაურებულთა გამოცხადება, მათთვის პროფესიის საუკეთესო წარმომადგენლის სახელის მიკუთვნება.

ივნისში მშენებელთა პირველადს პროფკავშირულ ორგანიზაციას მიმართეს კალატოზთა ბრიგადებმა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ. სულ ოთხი ბრიგადა გადავიყვანეთ სამეურნეო ანგარიშზე და ამის შედეგად ამ ბრიგადებმა მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში 180.000 ცალი აგური დაუზოგეს მშენებლობას.

საშენი მასალების ეკონომიისათვის ბრძოლაში, საერთოდ საცხოვრებელი სახლების სწრაფად მშენებლობაში დიდ როლს ასრულებს საწარმოო თათბირი, რომელიც ჩვენთან სისტემატურად იმართება სხვადასხვა საწარმოო საკითხების გადასაჭრელად.

★

როგორ მოვაწყოთ ნაკადური მუშაობა

სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს № 28 სამშენებლო ტრესტს დავალებული აქვს წელს მოსკოვში ააგოს 20 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი და წლის ბოლომდე შეუდგეს კიდევ 12 ასევე დიდი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. ერთი სამშენებლო ტრესტისათვის ასეთი პროგრამა დიდია. თუ კვადრატული მეტრების მიხედვით ვიანგარიშებთ, ამ სახლების აგებით ჩვენ ქალაქ მოსკოვს მივცემთ 120 ათას კვადრატულ მეტრ ახალ საცხოვრებელ ფართობს.

ამ დიდი პროგრამის შესრულებისათვის საჭირო გახდა მშენებლობაში შრომის გაუმჯობესებული მეთოდების დანერგვა, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა, ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის გაჩაღება.

ამჟამად ჩვენი ტრესტის 181-ე სამშენებლო სამმართველო იზმაილოვში აშენებს 8 ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლს. ეს სახლები უნდა მოთავდეს მათში მობინადრეების შესასახლებლად წელსვე, ნოემბერში. სახლების მშენებლობა ხორციელდება ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით.

რას წარმოადგენს ეს მეთოდი, — ყველასათვის ცნობილია, და ამაზე არ შევჩერდებით, მაგრამ განვმარტავთ, თუ როგორ ავაწყეთ მუშაობა ნაკადურად და ჩქაროსნულად, როგორ და რა საშუალებებით მოვიპოვეთ წარმატება.

ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით მშენებლობის წარმოება დიდსა და დაკვირვებულ წინასწარ მომზადებას მოითხოვს. საჭიროა საშენი მასალების საკმაო რაოდენობით მომარაგება, სამშენებლო ტერიტორიაზე მათი ისე განლაგება, რომ მშენებლობის პროცესში სამუშაო ადგილებზე მათ მისაწოდებლად ნაკლები დროისა და შრომის დახარჯვა მოგვიხდეს. იქ, სადაც მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია არ არის განხორციელებული, ნაკადურ-ჩქაროსნული მუშაობა დიდ ნაყოფს ვერ მოგვცემს. მაგრამ ამასთან სამშენებლო ინდუსტრია ისეთი სიმძლავრისა უნდა იყოს, რომ ჩქაროსნული მშენებლობა არ შეფერხდეს. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ტრესტის ხელმძღვანელებმა, სანამ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას შეუდგებოდნენ, პირველ რიგში სამშენებლო დეტალების ქარხნების გაფართოება დაიწყეს.

გარდა ამისა მოვახდინეთ ხის გადასამუშავებელი კომბინატის რეკონსტრუქცია, გავადიდეთ მისი წარმადობა და უზრუნველვყავით ისეთი მდგომარეობა, რომ რკინაბეტონის ასაწყობი დეტალებისა და ხე-ტყის მასალის მოწოდების გამო მშენებლები არასოდეს არ შეფერხდებიან, რარიგ ჩქაროსნულადაც უნდა იმუშაონ.

ასეთი წინასწარი მომზადების გარდა საჭიროა სამშენებლო მოედნის წინასწარი მომზადებაც. როგორც კი შემოვფარგლეთ იზმაილოვში ჩვენი სამშენებლო მოედანი, შევუდექით მშენებლობის თვალსაზრისით მის მომზადებას კეთილმოსაწყობად. ამ სამუშაოს წინასწარ შესრულებას, როგორც შემდგომში გამოცდილებამ გვიჩვენა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რას ნიშნავს სამშენებლო მოედნის კეთილმოწყობა? ეს იმას ნიშნავს, რომ მშენებლობის პროცესში არავითარი დამატებითი სამუშაო არ გავწიოთ, წინასწარ გავიყვანოთ წყალსადენი, საკანალიზაციო ტრანშეა, მიწიხქვეშა ყველა კომუნიკაციები, რათა მშენებლობის მოთავების შემდეგ საჭირო არ იქნეს სახლის საფუძველს ქვეშ მიწის გათხრა და სხვა სამუშაოთა შესრულება. ამის შემდეგ საჭიროა სამშენებლო მოედნის დაგეგმარება, მექანიზმებისათვის გზების მონიშვნა, ავტოტრანსპორტის სასიარულო გზის მოასფალტება, საშენი მასალების დასაწყობი ადგილების შერჩევა.

ასეთ წინასწარ სამუშაოებს ეწოდება პირველადი ციკლის, ანუ „ნოლის“ ციკლის სამუშაოები. ეს ისეთი ხასიათის სამუშაოებია, რომლებსაც სახლების მშენებლობის დაჩქარებისათვის, ე. ი. „ჩქაროსნობისათვის“ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ.

შემდეგ, ვიდრე სახლებისათვის საფუძვლის ჩაყრას შეუდგებოდით, დავამუშავეთ მშენებლობის წარმოების გრაფიკი. გრაფიკი ჩვენთან კანონია ყოველი მშენებლისათვის. როდის და სად, შენობის რომელ ადგილას რა სახის სამუშაო უნდა დავიწყოთ, როდის უნდა დავამთავროთ ეს სამუშაო, საიდან უნდა მივაწოდოთ ამ სამუშაოზე საჭირო მასალები, ხელსაწყოები და სხვა, — ყოველივე ეს ზუსტად არის გათვალისწინებული გრაფიკით.

გრაფიკის შედგენა ხდება სხვადასხვა ციკლის მიხედვით. შრომითი ოპერაციების მთელი ის ჯამი, რაც საჭიროა საცხოვრებელი მრავალსართულიანი ერთი სახლის ასაგებად, განაწილებულია შვიდ ცალკე ციკლად. გრაფიკი ისეა შედგენილი, რომ რამდენიმე ციკლის სამუშაო შეიძლება ერთი სახლის მშენებლობაზე ერთდროულად შევასრულოთ. ამრიგად, არის იმის შესაძლებლობა, რომ თუ ერთი ციკლის სამუშაოს, მაგალითად კედლის წყობას, ვასრულებთ მესამე სართულზე, პირველ სართულში უკვე შეუდგეთ კედლების შელესვას, მოსაპირკეთებელი სამუშაოების შესრულებას.

იზმაილოვში 8 საცხოვრებელი სახლის ნაკადურ-ჩქაროსნულ მშენებლობას ორი პარალელური ნაკადით ვახორციელებთ. თვითეულ ნაკადში ოთხი სახლი შედის. ერთი ციკლის სამუშაოთა შემსრულებელი ბრიგადა პირველ სახლში პირველ სართულზე შეუდგება მუშაობას, ამასობაში აგურის მწყობლები მეორე სახლის პირველი სართულის კედლებს ამოიყვანენ, ბრიგადაც აქ გადავა სამუშაოდ. ამასობაში მისთვის სამუშაო ფრონტი მზად იქნება მესამე სახლის, შემდეგ მეოთხე სახლის მშენებლობაზე, ხოლო ბოლოს ბრიგადას მოუხდება დაბრუნდეს პირველი სახლის მეორე სართულზე და ასე იმდენჯერ, რამდენი სართულიც არის ასაგებ საცხოვრებელ სახლებში.

საერთოდ მიღებულია, რომ კალატოზები მხოლოდ კედლის წყობაზე ან მოპირკეთებაზე მუშაობენ. ჩვენთან კი კალატოზები აგურის კედლებსაც აშენებენ და რკინაბეტონის ასაწყობი ნაწილების მონტაჟსაც ახდენენ (იბეების დაყენება, სართულთაშორისი გადახურვის მოწყობა და ა. შ.).

ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით მშენებლობის დროს ადგილი ხდება კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება. მიწის სამუშაოებს ჩვენთან ვასრულებთ ექსკავატორებით, ბულდოზერებით, თვითსაცლელი ავტომანქანებით. რკინაბეტონის ასაწყობ კონსტრუქციებს სამშენებლო ადგილზე ვაწოდებთ სხვადასხვა სიმძლავრისა და მანევრირების უნარის მქონე ამწე მექანიზმებით, ხოლო სამშენებლო მოედნის ფარგლებში საშენი მასალები ადგილიდან ადგილზე გადაგვაქვს ავტომატური სატვირთავი მანქანებით.

ნაკადური მშენებლობისას ყველა სამუშაო ხორციელდება სავალდებულო ტექნოლოგიური წესების მიხედვით. ეს წესები შემუშავებულია ყველა ძირითადი სამუშაოს მიხედვით და ჩამოწერილია ბარათზე, რომელსაც ჩვენ ტექნოლოგიურ ბარათს ვუწოდებთ. აქ აღნიშნულია, თუ მოცემული ძირითადი სამუშაოს ხაზით რა და რა ოპერაციები უნდა შესრულდეს, როგორი თანმიმდევრობით, როგორ უნდა მოვახდინოთ ცალკე პროცესების მართებულად შესრულების შემოწმება, რა მოვალეობა ეკისრებათ მშენებლებს, როგორი დანაშვებები შეიძლება გვექნეს ამა თუ იმ ნაგებობის აგებისას და ა. შ. ასეთი ტექნოლოგიური ბარათის შესწავლა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, ხოლო ეს მუშას საშუალებას მისცემს მტკიცედ შეითვისოს თავისი მოვალეობა, მაღალხარისხოვნად შეასრულოს ყველა ის სამუშაო, რომელიც მას ევალება ამა თუ იმ ციკლის ოპერაციათა შესრულებაში, წინასწარ მოიმარაგოს ყველა ხელსაწყო, მასალა და იარაღი, რაც მას დასჭირდება.

ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით მშენებლობა ახალ, დიდ შესაძლებლობებს იძლევა შრომის ნაყოფიერების შეუნელებელი ზრდისა და თვითღირებულების თანდათანობით შემცირების მიზანდასახულ ნაწილი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნაკადურ-ჩქაროსნული მშენებლობისას დადად მცირდება მშენებლობის დამთავრების ვადები, უმჯობესდება ნაგებობათა ხარისხი.

ვ. პოლიკანოვი,
№ 28 სამშენებლო ტრესტის მმართველი
მ. ბელინოვიჩი,
181-ე სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

პარტიული ორგანიზაცია მშენებლობის წარმატებისათვის ბრძოლაში

181-ე სამშენებლო სამმართველომ წელს მაისში დიდად პასუხსაგები დავალება მიიღო: წლის ბოლომდე დარჩენილ შვიდ თვეში უნდა აეგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა 8 ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

ამ ამოცანის შესრულებას მშენებელთა პარტიულმა ორგანიზაციამ თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. როგორც კი დავალება მივიღეთ, მოვიწვიეთ პარტბიუროს სხდომა და ვიმსჯელეთ იმის შესახებ, თუ საიდან დაგვიწყო მუშაობა, როგორ ჩავდგომოდით სათავეში მასებს და აგვემაღლებინა კომუნისტების ავანგარდული როლი. პირველ რიგში გადაწყდა, რომ სახლების მშენებლობა გვეწარმოებინა ნაკადურად და ამასთან ჩქაროსნულადაც, ე. ი. ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით.

მოვიწვიეთ ღია პარტიული კრება, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა სამმართველოს უფროსი ამხ. პაგნაევი. მან კოლექტივს დაწვრილებით განუმარტა მიღებული დავალების შესრულების მნიშვნელობა, აგრეთვე ის სიძნელენი, რომლებიც უნდა გადალახონ მშენებლებმა, მიუთითა იმ საშუალებებზე, რომლებიც საჭირო იქნება წლის ბოლომდე რვავე სახლის საექსპლოატაციოდ გადასაცემად.

კრებაზე დამსწრე მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ბევრი საყურადღებო რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანეს. კრების შემდეგ პარტბიუროს გამოჰყო კომუნისტების ჯგუფი, რომელსაც დაეკისრა მშენებლებს შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღება, თვალსაჩინო აგიტაციის გაწევა. ამ ჯგუფმა კარგად გამოიჩინეს თავი კომუნისტებმა — ოსტატმა ამხ. ტატარინცევამ, დურგლების ბრიგადირმა ამხ. გოროდენცევმა. მათ უზრუნველყვეს მკაფიოდ შედგენილი მოწოდებანი და ლოზუნგების შედგენა და ყველა თვალსაჩინო ადგილზე გამოფენა. ეს ლოზუნგები და მოწოდებანი ყველას ყურადღებას იზიდავს.

— კალატოზებო, გაუფრთხილდით ხსნარსა და აგურს! თვითეული კუბმეტრი ხსნარი 100-125 მანეთი ჯდება. დაზოგეთ აგური, ნუ გატეხთ მას, ნატეხი აგური ყველგან ბევრია. ამრიგად, დღეში ორი-სამი ათეული აგურის დაზოგვას შეძლებთ!

— კედლის ამოყვანაზე ყოველი კუბმეტრი აგურის დაწყობისას, — გვაუწყებდა მეორე ლოზუნგი, — დედაქალაქის მოწინავე მშენებლები 10-12 ცალ აგურს ირჩენენ. ისწავლეთ მათგან აგურის კედლის მომჭირნედ წყობა!

პარტბიუროს რეკომენდაციის მიხედვით სამმართველოს ხელმძღვანელები შეუდგნენ მშენებელთა ბრიგადების ხელახლა დაკომპლექტებას, ბრიგადებში ადამიანების შერჩევას ისე, რომ ყველა ბრიგადა თანაბარი ძალით შესდგომოდა მუშაობას. ბრიგადირებად გამოყოფილ იქნენ კომუნისტები, მოწინავე ოსტატები.

23 მაისს დილიდან გაჩაღდა მშენებლობა. პარტიული ორგანიზაცია თვალყურს ადევნებდა მშენებლობის მიმდინარეობას. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც უკვე გვქონდა პირველი გამოცდილება, ხელახლა მოვიწვიეთ ღია პარტიული კრება და განვიხილეთ ნაკადურ-ჩქაროსნული მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი. კრებაზე აღინიშნა, რომ ნაკადურ-ჩქაროსნული მშენებლობა დიდი წარმატებით ვითარდება, მხოლოდ აქა-იქ მუშაობის ტემპი შენელდა. ამასთან კრებაზე მოსული მშენებლები მიუთითებდნენ იმ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობდა მშენებლობის შემდგომ წარმატებას.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის წარმატებაში 181-ე სამშენებლო სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციას გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი.

ჯ. მიხაილოვი,
სამშენებლო სამმართველოს პარტორგანიზაციის მდივანი.

მშენებლები მოგვითხრობენ

„კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა 181-ე სამშენებლო სამმართველოს მოწინავე მშენებლებს — ბრიგადირებს, ოსტატებს, მექანიზატორებს, რომლებიც გამოთქვამენ მზადყოფნას თავიანთი მდიდარი გამოცდილება ნაკადურ-ჩქაროსნული მშენებლობის დარგში გაუზიარონ საქართველოსა და მისი დედაქალაქის—თბილისის ბინათმშენებლებს.

შინაგრიგადული შეჯიბრება

ხუროების ბრიგადირმა, ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიონული საბჭოს დეპუტატმა ს. პეტრიაევმა თავისი ბრიგადის გამოცდილების შესახებ საუბარში აღნიშნა:

— გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ რაც უფრო მცირერიცხოვანია მშენებელთა ბრიგადა, მით უფრო კარგად შეიძლება მისი მუშაობის მოწესრიგება, ბრიგადის წევრთა შრომის ნაყოფიერების გაზრდა, მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევა. წინათ ჩემს ბრიგადაში 23 კაცი იყო. ცხადია, ყველას არ ჰქონდა ერთნაირი კვალიფიკაცია, ზოგს მეტი დახმარება სჭირდებოდა, ზოგს — ნაკლები, მაგრამ მე, როგორც ბრიგადირს, ერთობ მიჭირდა ყველასათვის გამეწია დახმარება, ყველას მუშაობისათვის მედევნებინა თვალყური.

შემდგომში ჩემი ბრიგადა ორად განაწილდა. ჩემთან 12 კაცი დარჩა და ბრიგადის მუშაობის მაჩვენებლები ერთბაშად გაუმჯობესდა. ეს იმის შედეგი იყო, რომ ახლა უკვე ადვილად ვახერხებდი ბრიგადის თვითეული წევრისათვის დახმარებას აღმოჩენას, რაც საერთო წარმატებას ხელს უწყობდა.

ჩვენს ბრიგადაში ფართოდ გვაქვს გაჩაღებული შინაბრიგადო სოციალისტური შეჯიბრება, რაც დიდად გვეხმარება მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებაში და ჩვენს ბრიგადას ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე აყენებს.

ბრიგადის შიგნით ინდივიდუალური შეჯიბრების ნაცვლად ჩვენ მოვაწყეთ წყვილების შეჯიბრება. საქმე ის არის, რომ ხუროებს მშენებლობაზე საერთოდ წყვილ-წყვილად გვიხდება მუშაობა. ინდივიდუალურად შეჯიბრებას აქ ნაკლები შედეგი ექნება, ვიდრე წყვილების შეჯიბრებას. ეს სავსებით დაადასტურა სინამდვილემ. წყვილების შეჯიბრების გაჩაღების შედეგად ჩვენმა ბრიგადამ ივნისის დავალება შეასრულა 198 პროცენტით, ივლისისა—220 პროცენტით, ხოლო აგვისტოს გეგმა—250 პროცენტით.

აღსანიშნავია, რომ იზმაილოვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე, სადაც ჩვენი ბრიგადა, ისევე როგორც სხვა ბრიგადები, ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდით მუშაობს, მუშა-მშენებლების გამომუშავება საგრძნობლად გაიზარდა და კაც-დღის მიხედვით აგვისტოში 51 მანეთი შეადგინა.

ნაგებობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის

მოწინავე კალატოზებისაგან შემდგარი ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. მაშკინმა განაცხადა:

— ჩვენს ბრიგადაში შრომა ცოტა სხვანაირად მოვაწყეთ, ვიდრე ეს ჩვეულებრივად მიღებულია, და ამ გარემოებამ ხელი შეგვიწყო წარმატებათა მოპოვებაში. ბრიგადა განაწილებულია სამ ცვლად. პირველი ორი ცვლა მუშაობს კედლის წყობაზე, ხოლო მესამე ცვლა ამზადებს სამუშაო ფრონტს, ე. ი. სათანადო ადგილზე გვიმარაგებს აგურს, სხვა საშენ მასალას, ინერტულ მასალას ხსნარისათვის, ხელსაწყოებს და ა. შ.

სამშენებლო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებას ხელს უწყობს სააკორდო-პროგრესული განრიგი, რომელიც თვითეულ ბრიგადას ეძლევა. ამ სააკორდო განრიგის საშუალებით თვითეულმა მუშამ იცის, თუ რა უნდა გააკეთოს, რას მიიღებს ამ სამუშაოს შესრულებაში და ამიტომ იგი მეტად დაინტერესებულია იმუშაოს მაღალხარისხოვნად, კარგად.

სახლების სწრაფად აშენებას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ ბრიგადები მუშაობენ გრაფიკის მიხედვით. სამი დღის განმავლობაში ვაშენებთ კედლებს, ხოლო ყოველ მეოთხე დღეს ვიწყებთ სართულის გადახურვას. ამასობაში კი მომდევნო ბრიგადები იწყებენ კედლების შელესვას ან ნაკადით გათვალისწინებული სხვა მორიგი სამუშაოს შესრულებას.

მექანიზმები შეუფერხებლად უნდა მუშაობდნენ

კოშკურა ამწეს მემანქანემ პ. როჟკოვმა თავისი მუშაობას შესახებ განმარტა:

— ცხადია, არ შეიძლება საცხოვრებელი სახლების ნაკადურ-ჩქაროსნულად აგება, თუ ფართოდ არ გამოვიყენეთ მექანიზაცია. სამშობლომ ჩვენი მშენებლები აღჭურვა ძვირფასი ტექნიკით, სამშენებლო მანქანებითა და მექანიზმებით. ჩვენზე, მექანიზატორებზე, დამოკიდებულია ამ ტექნიკის ეფექტიანად გამოყენება.

მთავარი სიძნელე კოშკურა ამწეზე მომუშავე მემანქანისათვის ის არის, რომ ქვემოდან ახიდული ტვირთი სწორად დადოს მოცემულ სართულზე, რათა მშენებელ მუშას ზედმეტი ენერგიის დახარჯვა არ დასჭირდეს ამ ტვირთის ასათვისებლად. საჭიროა აგრეთვე ვერიდოთ ტვირთის აწევის შემდეგ ამწე მექანიზმის უცებ გაჩერებას, რადგან ასეთ შემთხვევაში ხშირია ან ახლადაგებული კედლის დაზიანება ან ლავგარდანის ახლადშელესილი ნაწილის ჩამონგრევა და ა. შ.

მექანიზატორებზე დიდად არის დამოკიდებული მშენებლობის ბედი განსაკუთრებით ნაკადურ-ჩქაროსნული მშენებლობის დროს. საკმარისია ერთი რომელიმე მექანიზმი, რომელიც საშენი მასალების ტრანსპორტირებაზე მუშაობს, სულ ცოტა ხნით გაცდეს, რომ მშენებლობის რიტმი ჩაიფუშება, ნაკადი შეფერხდება. მექანიზმის მუშაობა მოულოდნელად რომ არ შეფერხდეს, ამისათვის საჭიროა მას კარგად მოვუაროთ, დროით გავწმინდოთ, გავზეთოთ, გამოვუცვალოთ გაცვეთილი ან დაზიანებული ნაწილი.

მე და ჩემი ამხანაგები, რომლებიც კოშკურა ამწეზე ვმუშაობთ, ერთმანეთს ვეჯიბრებით არა მარტო მშენებლობისათვის მომსახურების გაწევაში, არამედ მექანიზმის კარგად შენახვაშიც. ამიტომ ჩვენ ცვლის დაწყებამდე 15-20 წუთით ადრე მოვდივართ, ვამოწმებთ მანქანის ფოლადის „კუნთებს“ და ყოველთვის წინასწარ ვასწორებთ მექანიზმის მუშაობაში მოსალოდნელ შეფერხებას.

გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 17 სექტემბრის დღის პლენარულ სხდომაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა გენერალური კომიტეტის მოხსენება სესიის დღის წესრიგისა და დღის წესრიგში შეტანილ საკითხთა გენერალური ასამბლეის კომიტეტებში განხილვის რიგის შესახებ.

ამ მოხსენების განხილვის დროს სსრ კავშირისა და პოლონეთის წარმომადგენლები გამოვიდნენ დღის წესრიგში იმ პუნქტების შეტანის წინააღმდეგ, რომელთა მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა განაცხადა, რომ ასამბლეის დღის წესრიგში იმ საკითხის შეტანისათვის, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვას ეხება, არ მოიპოვება არავითარი საფუძველი, რადგან ამ საკითხის დაყენება სრულიადაც არ ისახავს მიზნად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებას.

გენერალურ კომიტეტში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის გუშინდელი გამოსვლები, ისევე როგორც ასამბლეის პლენუმზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის დღევანდელი განცხადება ცხადყოფენ, რომ, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, დაჟინებით მოითხოვენ რა ასამბლეის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანას, ისახავენ პირდაპირ პოლიტიკურ მიზანს — მიაღწიონ იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებიდან ამოღებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი პრინციპი — უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის ერთხმივობის პრინციპი, და ამრიგად რევიზია გაუკეთონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობისა და საქმიანობის თვით საფუძვლებს.

გასაგები უნდა იყოს, რომ ასეთი რევიზიის ყოველგვარ ცდას, განაგრძო ი. ა. მალიკმა, შეუძლია მხოლოდ გააძლიეროს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობა ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ხაზგასმით აღნიშნა რა უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის ერთხმივობის პრინციპის განსაკუთრებული მნიშვნელობა, საბჭოსი, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დაცვისათვის, მალიკმა განაცხადა, რომ ამიტომ არ შეიძლება დავეთანხმოთ წესდების გადასინჯვას, განსაკუთრებით ახლანდელ პირობებში, ისევე როგორც არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ არგუმენტაციას წესდების გადასინჯვის სასარგებლოდ, რომელიც დიდს სხდომაზე ასამბლეის ტრიბუნიდან გამოთქვა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბ-ნმა დალესმა.

ყველასთვის, ვისთვისაც ძვირფასია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესები, აღნიშნა ი. ა. მალიკმა, და ვინც ყოველწოფელად ესწრაფვის სადავო საერთაშორისო საკითხთა მშვიდობიან მოწესრიგებას, სავსებით აშკარაა, რომ ახლა მთავარი ამოცანაა არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვის საკითხი, არამედ იმის საკითხი, რომ ზუსტად დავიცვათ წესდება და არ დავუშვათ მისი დარღვევა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის პრაქტიკამ, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში, დაგვანახვა, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს არაერთი ცდა — შეეყოფა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია — მიმართული იყო უმთავრესად ისეთ გადაწყვეტილებათა მიღებისაკენ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან წესდების ძირითად დებულებებს, არღვევენ საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს. გარკვეული უხეში ზეგავლენით გენერალური ასამბლეის ამ სესიის პირველსავე პლენარულ სხდომაზე მიღებულ იქნა უკანონო და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ხელს უშლის თავისი კანონიერი ადგილი დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამ პირობებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვის საკითხის დაყენება შეიძლება, როგორც ეს სავსებით აშკარაა, ზოგიერთმა სახელმწიფომ გამოიყენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ძირის გამოთხრის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმისათვის ძირის გამოთხრის ახალი ცდებისათვის.

აღნიშნულ მოსაზრებათა გამო, განაცხადა დასასრულ ი. ა. მალიკმა, საბჭოთა დელეგაცია ვერ დაუჭერს მხარს წინადადებას იმის შესახებ, რომ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილ იქნას ხსენებული საკითხები, რომელთა მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების რევიზია.

პოლონეთის წარმომადგენელმა მ. ნაშკოვსკიმ თავის მხრივ დამაჯერებელი მოსაზრებანი მოიყვანა იმის წინააღმდეგ, რომ მე-8 სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნას პუნქტები, რომელთა მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების რევიზია.

დღის წესრიგში ამ პუნქტების შეტანის წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური ა. მ. ბარანოვსკი.

ამჟამად, განაცხადა ბარანოვსკიმ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანა მისი წესდების გადასინჯვა კი არ არის, როგორც ეს დალესს ჰგონია, არამედ ის, რომ არ დავუშვათ წესდების დარღვევა, რაც, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ ხანს ზოგიერთი დელეგაციის პრაქტიკაში დამკვიდრდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანაა აგრეთვე დაიცვას წესდება მისი რევიზიის განუწყვეტელი ცდებისაგან, რომელთა მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ძირის გამოთხრა.

ახლანდელ საერთაშორისო გითარებაში ყოველი წინადადება, რომლის მიზანია წესდების გადასინჯვა, მით უმეტეს წინადადებანი, რომელთა მიზანია წესდებიდან ამოღებულ იქნას ის დებულებანი, რომელნიც აწესებენ უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა ერთხმივობას, შეიძლება შეფასდეს მხოლოდ და მხოლოდ როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დასუსტებისა და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის გაძლიერების ცდები.

ასამბლეის დღის წესრიგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვის საკითხის შეტანას განსაკუთრებით აქტიურად მოითხოვდა ამერიკის დელეგატი ლოჯი, რომელიც ამასთან აცხადებდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს თითქოს არ ჰქონდეთ რაიმე განსაზღვრული გეგმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვის მხრივ და თითქოს წინასწარი განზრახვების უქონლად უდგებოდნენ ამ საქმეს.

უპასუხა რა ლოჯს, ი. ა. მალიკმა ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის ასეთი მტკიცება სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან გენერალურ კომიტეტში ლოჯის გუშინდელი განცხადება და ასამბლეის პლენუმზე დალესის დღევანდელი გამოსვლა ცხადყოფენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გარკვეული განზრახვა აქვს რევიზია გაუკეთოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას სწორედ უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა ერთხმივობის პრინციპისათვის ძირის გამოთხრის მხრივ, რასაც გარდუვალად მოჰყვებოდა მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დასუსტება.

ი. ა. მალიკი გამოვიდა აგრეთვე გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში მეორე მსოფლიო ომის სამხედრო ტყვეთა საკითხის შეტანის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ სამხედრო ტყვეთა საკითხი ისეთ საკითხებს ეკუთვნის, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომპეტენციას არ ექვემდებარება, და გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში მისი შეტანა ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 107-ე მუხლს.

ი. ა. მალიკმა აღნიშნა აგრეთვე ის ფაქტი, რომ გენერალურ კომიტეტში გუშინ ამ წინადადების განხილვამ ცხადყო, რომ ის, ვინც განსაკუთრებით აქტიურად მოითხოვს ასამბლეის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანას, მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირისადმი მტრული პროპაგანდას. ამოწურეს რა ყბადაღებული „ცივი ომის“ თავიანთ უბადრუკ არსენალში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრულ-ცილისმწამებლური პროპაგანდის ყველა საშუალებანი, „ცივი ომის“ მომხრენი ჩმახავენ სხვადასხვა ჭორს, თითქოს საბჭოთა კავშირი არ აბრუნებდეს მეორე მსოფლიო ომის სამხედრო ტყვეებს.

ი. ა. მალიკმა შემდეგ მოაგონა დამსწრეთ, რომ საბჭოთა კავშირიდან გერმანელ, იაპონელ და სხვა სამხედრო ტყვეთა რეპატრიაცია დიდი ხანია დამთავრდა, რაც თავის დროზე ფართოდ გამოცხადდა პრესაში. ამრიგად, სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხი არსებითად საფუძველს მოკლებულია.

სსრ კავშირის დელეგაციამ ჯერ კიდევ 1950 წელს აღნიშნული მოტივებით იმის წინააღმდეგ მისცა ხმა, რომ მეორე მსოფლიო ომის სამხედრო ტყვეთა საკითხი შეეტანათ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში. მაგრამ ეს საკითხი უკანონოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით, შეიტანეს გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიის დღის წესრიგში. ასევე უკანონოდ შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებული სპეციალური კომისია მეორე მსოფლიო ომის სამხედრო ტყვეთა საკითხზე. ამ კომისიის საქმიანობა ამოწურებოდა ყალბი ცნობების შეგროვებით იმთვალ, ვინც საბჭოთა კავშირისადმი მტრობისა და სიძულვილის გამო ყოველგვარ ცილისწამებას თხზავს საბჭოთა კავშირის შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით შექმნილი ეს კომისია ნაკარაუდევი იყო და მოქმედებდა როგორც სსრ კავშირისადმი მტრული კამპანიის ინსტრუმენტი. იმის ცდა, რომ ახლა გენერალურ ასამბლეას თავს მოახვიონ ამ კომისიის მოხსენების განხილვა, ემსახურება არა მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმეს, არამედ ხალხთა შორის მტრობისა და სიძულვილის გაღვივების მიზნებს.

ზემოხსენებულ მოსაზრებათა გამო, განაცხადა დასასრულ ი. ა. მალიკმა, სსრ კავშირის დელეგაცია გენერალურ კომიტეტში წინააღმდეგი იყო და ხმა მისცა გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის წინააღმდეგ, იგი წინააღმდეგია და ასამბლეის პლენუმზეც ხმას მისცემს დღის წესრიგში მისი შეტანის წინააღმდეგ.

ლოჯი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ასამბლეის დღის წესრიგში შეეტანათ სამხედრო ტყვეთა საკითხიც, ამასთან მიმართავდა მისთვის ჩვეულებრივ ცილისმწამებლურ გამოხდომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა კ. ვ. კისელიოვმა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა ვ. დავდმა აგრეთვე გაილაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილ იქნას საკითხი ეგრეთწოდებულ „სამხედრო ტყვეთა საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის ღონისძიებათა“ შესახებ. დაიმოწმა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 107-ე მუხლი, ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უფლებამოსილი არ არის განიხილოს ეს საკითხი. უარყო რა ამერიკის დელეგატის ცილისწამება, ბელორუსიის წარმომადგენელმა კ. ვ. კისელიოვმა მოიყვანა მაგალითები, თუ როგორ აყალბებენ „ცნობებს“ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს თითქოს არ მოეხდინოს გერმანელ, იაპონელ და იტალიელ სამხედრო ტყვეთა ნაწილის რეპატრიაცია. კისელიოვმა, კერძოდ აღნიშნა, ის ფაქტი, რომ სამხედრო ტყვეთა სიებში თვითნებურად შეჰქონდათ უკვალოდ დაკარგულნი და ფრონტზე დახოცილნი.

წესდების გადასინჯვის მომზადების საკითხი და სამხედრო ტყვეთა საკითხი შეტანილ იქნა ასამბლეის დღის წესრიგში.

სამხრეთ აფრიკის კავშირის, ინგლისისა და ბელგიის დელეგაციათა წინააღმდეგობის მიუხედავად, გენერალურმა ასამბლეამ ხმის უმეტესობით შეიტანა დღის წესრიგში სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდოელი წარმოშობის პირთა მდგომარეობის საკითხი და სამხრეთ აფრიკაში რასობრივი კონფლიქტის საკითხი რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკასთან დაკავშირებით, რასაც ახორციელებს სამხრეთ აფრიკის მთავრობა. სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა ხმა მისცეს ამ საკითხების შეტანას დღის წესრიგში.

გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა გენერალური კომიტეტის რეკომენდაცია ასამბლეის კომიტეტებს შორის დღის წესრიგის საკითხთა განაწილების შესახებ, აგრეთვე რეკომენდაცია 8 დეკემბრისათვის მერვე სესიის დამთავრების შესახებ.

ჩინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად

პეკინი, 18 სექტემბერი. (საკდესი). 1 ოქტომბერს 4 წელი სრულდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის დღიდან. ჩინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად ყველგან გაჩაღდა საწარმოო შეჯიბრება.

გაზეთ „პეიძინრიბაოს“ ცნობით, შიძინშანის მეტალურგიულ ქარხანაში შეჯიბრება წარმატებით მიმდინარეობს. ამას წინათ ამ ქარხნის მერვემონტე მუშებმა, გამოიყენეს რა შრომის მოწინავე საბჭოთა მეთოდები, დიდ წარმატებას მიაღწიეს — ვადაზე 11 დღით ადრე დაამთავრეს № 9 ბრძმედის კაპიტალური რემონტი. ენთუზიაზმით იბრძვიან რა წლიური საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ქარხნის მეტალურგებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლოისთვის მიიღონ 22 მილიარდი იუანი ზეგეგმითი დაგროვება.

როგორც გაზეთი „უენმინიბაო“ იუწყება, მუკდენის № 5 ელექტროქარხნის კოლექტივი სადღესასწაულო შეჯიბრების დღეებში მუშაობს იმისათვის, რომ შექმნას ჩინეთში უდიდესი ტრანსფორმატორი 13.500 კილოვოლტ ამპერის სიმძლავრისა.

საწარმოო წარმატებებით ეგებებიან დღესასწაულს ჩინეთის მეშახტეები. ფუდიატანის ქვანახშირის მაღაროების მეშახტეებმა შეჯიბრების დაწყებისადმი მიძღვნილ მიტინგზე მიიღეს გადაწყვეტილება 1 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღონ 2,5 ათასი ტონა ქვანახშირი. შრომის გმირმა კან იუნ-იანმა თაკისი ბრიგადის მეშახტეების სახელით ვალდებულება იკისრა სექტემბერში 100 ტონის გადამეტებით შეასრულოს ქვანახშირის ამოღების თვიური დავალება.

ტვირთბრუნვის გადიდებით, ვაგონების ბრუნვის დროის შემცირებით და შრომის მაღალი ნაყოფიერებით ხვდებიან 1 ოქტომბერს ჩინელი რკინიგზელები. როგორც გაზეთი „დუნბეიჟიბაო“ იუწყება, ძინჯოუს რკინიგზელებმა ვადაზე 4 თვით ადრე შეასრულეს დატვირთვის საშუშოო წლიური გეგმა. მათ ვალდებულება იკისრეს 1 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით დატვირთონ კიდევ ათასი ვაგონი.

იაპონელ მეშახტეთა გრძოლა

შანხაი, 18 სექტემბერი. (საკდესი). იაპონურ გაზეთ „მაინიცას“ ცნობით, ქვანახშირის მრეწველობის მუშათა ეროვნული კავშირის ცენტრალურმა საგაფიცავო კომიტეტმა ბუშინ გამართულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება 24 სექტემბერს 15 მსხვილი კომპანიის საწარმოებში გამოაცხადოს გაფიცვა ვადის დაუნიშნავად — დათხოვნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ეს გაფიცვა განხორციელდება სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის ნაწილობრივი და მოკლე ხნის გაფიცვებით.

ხელმძღვანელობა რა საგანგებო ყრილობის გადაწყვეტილებით, ქვანახშირის მრეწველობის მუშათა ეროვნულმა კავშირმა წამოაყენა მოთხოვნა ხელფასის გადიდების შესახებ. რამდენადაც ქვანახშირის მრეწველობის ეროვნულმა ასოციაციამ უარი თქვა მოლაპარაკებაზე, ხვალ ცენტრალური საგაფიცავო კომიტეტი გაეცნობა ასოციაციის პასუხს და მიიღებს გადაწყვეტილებას 27 სექტემბერს მთელ იაპონიაში 24 საათის გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

ამრიგად, აღნიშნავს გაზეთი, კონფლიქტს ქვანახშირის მრეწველობაში სულ უფრო მწვავე ხასიათი ეძლევა.

საერთაშორისო საჰაერაკო ტურნირი შვეიცარიაში

ციურიხი, 17 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ციურიხში გაიმართა საერთაშორისო საჰაერაკო ტურნირის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. კოტოვი თამაშის განუახლებლად დანებდა რეშევსკის, გლიგორიჩი კოტოვს. ტაიმანოვი და ბოლესლავსკი, სმისლოვი და ბრონშტეინი, კერესი და რეშევსკი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიების გათამაშება გრძელდებოდა. ორი გამარჯვება მოიპოვა პეტროსიანმა, რომელმაც მოუგო ეიგესი და შტალბერგს. ნაიდორფმაც დაამარცხა შტალბერგი. გელერ-გლიგორიჩისა და კოტოვ-ბრონშტეინის პარტიები ყაიმით დამთავრდა.



გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში აქვთ მეფრინველეობის კარგად მოწყობილი ფერმა, სადაც 1.000 ფრთაზე მეტი ფრინველია. სურათზე: მეფრინველეობის ფერმის ეზოში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

საჯარო ბიბლიოთეკა ფაართოვდება

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ერთ-ერთი მოწინავეა არა მარტო რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა ბიბლიოთეკებს შორის.

ყოველდღიურად იზრდება ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი, ასევე იზრდება მკითხველთა რაოდენობა, მიმდინარე წლის განვლილ 8 თვეში ბიბლიოთეკამ მომსახურება გაუწია 16.000-ზე მეტ მკითხველს, ხოლო გაცემული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა 252.000 აღემატება.

წელს საჯარო ბიბლიოთეკას მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით გადაეცა მეზობლად მდებარე შენობიდან 900-მდე კვადრატული მეტრი ფართობი, ამასთან ბიბლიოთეკის მუშაკთა რაოდენობა 50 კაცით გადიდდა.

როგორც ძირითად, ისე ახლად გადმოცემულ შენობაში ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. 12 სექტემბერს მუშაობა განაახლა 250-ადგილიანმა საერთო დარბაზმა.

ახლად შემომატებულ შენობაში რემონტის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდება პირობები დაკომპლექტების, დამუშავების და საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებების ნორმალური მუშაობისათვის. 700-მდე კვადრატული მეტრით გაიზრდება წიგნთსაცავი. გაიხსნება ორი ახალი დარბაზი: ტექნიკური ლიტერატურის დარბაზი 160 ადგილით და სბავშვო ლიტერატურის დარბაზი 40 ადგილით.

ყოველივე ამის შემდეგ ბიბლიოთეკას შესაძლებლობა ექნება ეროდროულად მომსახურება გაუწიოს 560 მკითხველს ნაცვლად 360-სა.

ს. მეშარიშვილი,
საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის სწავლული მდივანი.

საბავშვო ფანსაცმლის გამოფენა

საქართველოს მოდელების სახლის სადემონსტრაციო დარბაზში (კარლ მარქსის მოედანი № 2) მოწყობილია ყველა სეზონის საბავშვო ტანსაცმლის გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ყველა ასაკის ბავშვების მრავალნაირი ქსოვილის მზა ტანსაცმლის — მათ შორის პალტოების — ასამდე სხვადასხვა მოდელი.

ბავშვთა ტანსაცმლის მოდელების ავტორები არიან კონსტრუქტორ-მოდელიერები ე. ატაპინა, ე. სარქისიანი და ზ. კარასევა. მოდელები გაწყობილია ნაქარგით და სხვადასხვა სახის აპლიკაციით.

კალათბურთი

სსრ კავშირის და ჩეკოსლოვაკიის უკანასკნელი დღე

19 სექტემბერს ... კავშირის 1953 წლის პირველობის გათამაშების უკანასკნელი დღე იყო. გაიმართა დასკვნითი შეხვედრები.

გათამაშების ლიდერი — დედაქალაქის „დინამოს“ ქალთა გუნდი შეხვდა ტარტუს უნივერსიტეტის სასპორტო კლუბის კალათბურთელთა კოლექტივს. ტარტუს კალათბურთელებმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს შეხვედრა და გიმარჯვეს ანგარიშით 81:64.

ამავე დღეს თბილისის „ნაუკის“ ქალთა გუნდმა მოუგო ერევნის „ისკრას“ 44:19, მოსკოვის „ლოკომოტივმა“ — კაუნასის „ჟალგირისს“ 47:34, დედაქალაქის „ნაუკამ“ — მოსკოვის „სტროიტელს“ 50:31, ლენინგრადის „ისკრამ“ — ლენინგრადის „სპარტაკს“ 50:40, რიგის „დაუგავამ“ — კიევის „დინამოს“ 41:22.

ვაჟთა გუნდების შეხვედრებიდან დიდ ინტერესს იწვევდა გასული წლის ჩემპიონის მოსკოვის ცსკა-სა და კაუნასის „ჟალგირისის“ შეჯიბრება. გიმარჯვეს დედაქალაქის კალათბურთელებმა ანგარიშით 72:55.

დანარჩენი შეხვედრები დამთავრდა შემდეგი ანგარიშით: „დინამო“ (თბილისი) — „ისკრა“ (ერევანი) 50:45, „კალევი“ (ტალინი) — კიევის ოფიცერთა სახლის გუნდი 79:64, „ნაუკა“ (ლენინგრადი) — რიგის ოფიცერთა სახლის გუნდი 43:56, „დინამო“ (მოსკოვი) — დონის როსტოვის ოფიცერთა სახლის გუნდი 67:42, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ნაუკა“ (კიევი) 73:65.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის XX ჩემპიონატი კალათბურთში დამთავრდა. ქალთა გუნდებს შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა მოსკოვის „დინამო“, ვაჟთა გუნდებს შორის — თბილისის „დინამო“.

ფეხბურთი

„ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივები ჩაებნენ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. შეჯიბრება მიმდინარეობს მოსკოვში. პირველი შეხვედრა გაიმართა 18 სექტემბერს დედაქალაქის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდებს შორის. გიმარჯვეს ტორპედოელებმა ანგარიშით 3:1 და გავიდნენ მეოთხედ ფინალში.

* * *

18 სექტემბერს გორკში გაიმართა ქვეჯგუფებში გამარჯვებულ „ბ“ კლასის გუნდების მორიგი ასპარეზობა. თამაშობდნენ სტალინის „შახტიორისა“ და თბილისის „სპარტაკის“ გუნდები. შეხვედრა მოიგო „შახტიორმა“ 2:1.

სსრ კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში

ლენინგრადი. (სპეც. კორ.). აქ გრძელდება საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის გათამაშების ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში.

წარმატებით იბრძვის საქართველოს გუნდი, რომელიც მონაწილეობას იღებს მეორე ქვეჯგუფში. ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკენი, რომლებმაც მოუგეს ყაზახეთისა და კარელია-ფინეთის გუნდებს ანგარიშით 10:0 და 9:1, ყაიმით (5:5) დაამთავრეს შეხვედრა კიევის მოჭადრაკეთა კოლექტივთან, ლიდერებად ითვლებიან.

ძ. გოგიჩაშვა.

ლ. კუსხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

21 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე შედგება ლექცია თემაზე: „კოლექტიური ხელმძღვანელობა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია“. ლექტორი ამხ. მ. ი. სიხარულიძე.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაციკიძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

20 სექტემბერს	დღის 12 საათზე ჯ. როსინი—სევილიელი დალაქი საღამოს ზ. ფალიაშვილი — დაისი
22 სექტემბერს	ლ. დელიბი — ლაკმე

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი
ბრძოლის ქ. № 2, ტელ. № 3-21-62

ფეხბურთი

ა. წ. 22 სექტემბერს „დინამოს“ სტადიონზე შედგება საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში ითამაშებენ:

რუმინეთის ნაკრები გუნდი—„დინამო“ (თბილისი)

დასაწყისი 17 საათზე.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 30 სექტემბერს, დღის 3 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნოდარ თადეოზიანის-ძე ნაკაშიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Русско-английские отношения при Иване IV“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი დოქტორი ა. **ფირცხალაიშვილი**, დოცენტი მეცნ. კანდიდატი **გ. კიღურაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ა. ლალივი, ვ. საყვარელიძე, ე. ვასაძე, ც. მირცხულავა, მ. გურგენიძე, დ. ძველაია, ა. ურუშაძე, ვ. თაბუკაშვილი, ა. გრიგოლია, შ. კიტოვანი იუწყებიან **სონია ალექსის ასულ ბოდოკიას** გარდაცვალებას.

დედა პოლინა სიორიძე, მეუღლე ვერა, შვილები ნანული, გია დიდებულიძეები, დეიდები ალექსანდრა, მარიამ ყიფიანები; ლუბა, დომენტი მომცემლიძეები იუწყებიან ილია **მიხეილის-ძე დიდებულიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21, 22, 23-IX, 8 ს. გამოსვენება 24-IX, 6 ს. ნეკრასოვის ქ. № 3.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს აპარატის მუშამოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება **ალვასი თეოფილეს ასულ გერასიმია-გოგორიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 22-IX, 6 ს. აბოვიანის ქ. № 11.

ოთარ ტრაპაიძე, ცირა, ბონდო შალიკაშვილები, დოდო, ალექსანდრე მახროშვილები, თეიმურაზ ოძელი, სიმონ ჯაფარიძე იუწყებიან **ალვასი გოგორიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე საშურა, შვილი გრიგოლ, რძალი ქეთევან, შვილიშვილები რუსუდან, მერაბ გურჯიძეები იუწყებიან **ნესტორ სარდიონის-ძე გურჯიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-IX ბიღაში (ჭიათურის რაიონი).

რ. მიქელაძე, ი. ბილანიშვილი, ე. გელდიაშვილი, ე. დავითაია, ლ. კოპლატაძე, ნ. ურუშაძე, მ. ღვინიაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ნ. შავნგირაძე, მ. ჩხეიძე იუწყებიან **თამარ ანდრიას ასულ შაფათავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 20-IX, 4 ს. ჩელიუსკინელების ქ. № 20.

შვილები ედნია, ვასო, ლიდა, რძალი ლუბა, სიძეები ა. გაბუნია, ნ. აბესაძე, შვილიშვილები კუკური, უჩა, ლია, გურამ, მახეილ, ნანული, ეთერ იუწყებიან **სონია ალექსის ასულ ბოდოკიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IX ს. გეგუთში (ქუთაისის რაიონი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცაგერის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები იუწყებიან **რაუდენ გერასიმეს-ძე ყურაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-IX დაბა ცაგერში.

საქართველოდან ანტარქტიკაში

...აბესალომ მელიტონის-ძე ზენაიშვილს ამ ცოტა ხნის წინათ 29 წელი შეუსრულდა. იგი ლენინგრადელია. მან 1941 წელს დაამთავრა ბათუმის საზღვაო ტექნიკუმის მესამე კურსი და მოხალისედ წავიდა ფრონტზე სამშობლოს დასაცავად. მიუხედავად ძმის ჭრილობისა, აბესალომმა განაგრძო სწავლა, მიიღო დამთავრებული საზღვაო განათლება და რამდენიმე წელს მუშაობდა ბათუმის ნავსადგურის კაპიტნის მოადგილედ. 1948 წელს იგი მოვიდა ჩვენთან „სლავაზე“ და ჩარიცხულ იქნა კაპიტან-დირექტორის, სოციალისტური შრომის გმირის ა. ნ. სოლიანიკის უფროს თანაშემწედ.

უფროსი თანაშემწე კაპიტან-დირექტორის მარჯვენა ხელია. მრავალფეროვანია მისი მუშაობა უზარმაზარ მცურავ ქარხანაზე. იგი მეთაურობს ასობით ადამიანს, ზრუნავს არა მარტო ხომალდის უშიშარი მოგზაურობისათვის, არამედ აგრეთვე ადამიანთა საყოფაცხოვრებო პირობებისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის. „სლავას“ გარდა ანტარქტიკაში მიდის ვეშაპთსანადირო ათზე მეტი ხომალდი. ისინი საჭიროების მიხედვით უნდა მოვამარაგოთ სათბობით, სასმელი წყლით, სურსათით, საბრძოლო და ბევრი სხვა მასალით, რომლებიც საჭიროა ვეშაპებზე სანადიროდ. ყოველივე ეს უფროსი თანაშემწის მოვალეობას შეადგენს.

ხუთ წელიწადს ვმუშაობდი ა. ზენაიშვილთან ერთად და კარგად ვიცი მისი ცოდნა საზღვაო საქმეში, მისი გამოცდილება, თავდადგენილობა და გამჭრიახობა. 1953 წლის სეზონში, ანტარქტიკაში „სლავას“ მეშვიდე რეასის დროს, მე და ჩემი თანამემამულე დავცილდით ერთმანეთს. იგი გადავდა ვეშაპთსანადირო გემ „სლავა-6“-ის კაპიტნის უფროს თანაშემწედ. სწორედ აქ, ამ ჰატარა გემზე წყდება სარეწის ბედი. და კომუნისტმა შტურმანმა უამინდობის უმძიმეს პირობებში, როდესაც თითქმის განუწყვეტლივ მძვინვარებდა ქარიშხალი, გადაწყვიტა მთელი თავისი ძალები და ცოდნა მოეხმარებინა ნადირობის წარმატების უზრუნველყოფისათვის.

„სლავა-6“-ზე მებარჯვე-მონადირედ მუშაობს ალექსი ზოლოტოვი. იგი ჩვენს ფლოტილიაში მოვიდა 1948 წელს ზენაიშვილთან ერთად და ნადირობის პირველ წელსვე გამოიჩინა თავი როგორც გაბედულმა მებარჯვემ, რომელიც მზად არის შეებას ზღვების